ცნობის ფურცელი

№ 2329 ხუთშაბათი, 20 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2329

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

წარ. 21, აბონემენტი № 6 **ქართული თეატრი** ტელეფონი № 617

პარასკევს, 21 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

პედაგოგები

კომ. 3 მოქმ. ოტტო ერნსტისა, თარგ. ნახუცრიშვილისა.

II

უბედური დებიუტი

ვოდ. 1 მოქმ. თარგ. ბ. ახოსპირელისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ნ. დგვითაშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, შალიკაშვილი, სარჯველაძე, იორდანაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: ს. სვიმონიძის საბენეფისოდ „ოტელლო".

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 21 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ფრა-დიავოლო

ოპერა 3 მოქ., მუს. ობერისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარტავინა, სელიუკ, ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, გლადკოვი, შმაკოვი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 22 ნოემბ. წარმ. იქნ. „დუბროვსკი". 23 ნოემბ. დილით „დემონ", საღამოთი—„ოპრიჩნიკ". მზადდება წარმოსადგენად „კამმორა" (ნ.)

გამგეობა ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ 3 დეკემბრისათვის დანიშნულია წლიური

ჩვეულებრივი კრება

ხსენებულ საზოგადოების წევრთა. კრება მოხდება ქართულ თეატრის ფოიეში, საღამოს 7 საათზედ.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მოქმედების ანგარიშისა $190^2/_3$ წლისა,
2. განხილვა და დამტკიცება $190^3/_4$ წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა;
3. არჩევანი სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და ორის კანდიდატისა.
4. არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა, რადგან ეხლანდელი წევრები გამგეობისა თანამდებობას თავს ანებებენ, და სამის კანდიდატისა. და 5. არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (უ. 3—2)

ექიმი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

კბილის ექიმი

პ. გ. მახარაშვილი

გადავიდა ნადირაძის სახლში (ბაინდურ-ოვისეულში) კოკოჩაშვილის აფთიაქის პირდაპირ.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, ს ახლოვ ანტიპარმაკლიძისა. (20—6.—18)

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—13)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 4—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნაძისა. (წლ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. - კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11 - 12.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 - 1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12 - 1 ს.

გრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთი და კორეია

როგორც ვიცით, რუსებმა კორეიაში, მდინარე იალუს ნაპირას ნავთ-სადგური იონამპო (ზოგი იოგამპოსა სწერს) დაიჭირეს. ამაზე იაპონიამ, ინგლისმა და ამერიკამ პროტესტი გამოაცხადეს და კორეის მთავრობას მოსთხოვეს, იონამპოში ვაჭრობის უფლება ყველას უნდა მიეცესო. კორეის მთავრობა დასთანხმდა სამის სახელმწიფოს მოთხოვნილებას, მაგრამ რუსეთის შიშით დღესაც არ გაუთავებია ეს საქმე. ამ საქმის თაობაზე ინგლისურ გაზ. „დეილი მეილ"-ს ტოკიოდანატყობინებენ: „რუსეთის ელჩმა სეულში კორეის მთავრობას ნოტა ჩააბარა და გამოუცხადა, თუ კორეია რუსეთის დარიგებას არ აასრულებს და ნავთ-სადგურ იონამპოსა და ინსოტაში ვაჭრობის უფლებას სხვა სახელმწიფოებსაც მისცემს, მაშინ რუსეთი რამე ღონეს იღონებს კორეის წინააღმდეგაო. კორეის მთავრობამ საპასუხო ნოტა გაუგზავნა რუსეთის ელჩს და პროტესტი გამოუცხადა,—რუსეთი კორეის უმაღლეს უფლებას არღვევსო. თავის ნოტის შინაარსი კორეის მთავრობამ იაპონიის ელჩსაც შეატყობინა.

იაპონია და რუსეთი

ამ ბოლოს დროს შორეულ-აღმოსავლეთიდან ამბავი მოვიდა, ვითომ იაპონიასა და რუსეთს შუა პოლიტიკური ურთიერთობა გამწვავდაო. იაპონიის ელჩს ბარონ ჰაიაშის ლონდონში გამოუცხადებია, მაგნაირი ცნობა ტოკიოდან არ მომსვლიაო. მხოლოდ ის ვიცი, რომ იაპონიამ ადრევე, მოლაპარაკების დროს, თავისი მოთხოვნილება წარუდგინა რუსეთს და ეხლა იმის პასუხს ელისო.

ინგლისის ექსპედიცია ტიბეტში

დეპეშებიდან გეცოდინებათ, რომ ინგლისის მთავრობამ ინდოეთიდან ექსპედიცია გაჰგზავნა ტიბეტში. ამ ექსპედიციის თაობაზე გაზეთები შემდეგსა სწერენ: 1890 და 1893 წელს ინგლისმა და ტიბეტმა ერთმანეთში საზღვრისა დ ვაჭრობის თაობაზე ხელშეკრულება დასდეს. მაგრამ ტიბეტი ამ ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლს არ ასრულებს თურმე. ინგლისელები ამბობენ, ტიბეტის მთავრობა ინგლისის ვაჭრობას ხელს უშლისო. წარსულ ივლისში ამ უთანხმოების თაობაზე მოსალაპარაკებლად ინგლისმა კომისია გაჰგზავნა ტიბეტს და თან ძლიერი რაზმიც გააყოლა. კომისია ტიბეტში არ შეუშვეს, ამიტომ კომისია საზღვარს ახლო ხამბა-იოკში დადგა და ტიბეტის კომისიის მოსვლას ელოდებოდა. ტიბეტის მთავრობამ სამოქალაქო და სამხედრო მოხელეები გამოჰგზავნა, მაგრამ ინგლისელებმა იმათთან მოლაპარაკება არ გამართეს, რადგან გამოგზავნილი ტიბეტელები მცირე ხარისხის ხალხი იყვნენ. ეხლა ინგლისელები ტიბეტის შუაგულისაკენ 160 კილომეტრის გავლას აპირებენ; ტიბეტის სატახტო ქალაქ ლხასის 180 კილო-

ფელეტონი

ახალი დრამის ისტორიიდან

ლანგმანის პიესები*)

ლანგმანის საუკეთესო პიესაა „ბარტელ ტურაზერი", რომელიც იმგვარსავე ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ჰაუპტმანის „ფეიქრები". პიესა მუშების ცხოვრებიდანაა. პირველ მოქმედებაში ჩვენ წინ ტურაზერის ღარიბი ოთახია. ტურაზერს ერთ ხელში ძუძუ-მწოვარა ბავშვი უჭერია, მეორეთი ფაფას უმზადებს ფეხზე პატარა ბათლომეს, რომელიც ავად არის დ იქვე წევს ლოგინში საბანში გახვეული. დედა სამუშაოდაა წასული, თვითონ ტურაზერს კი და მის ამხანაგებს ეს ორი კვირა გაფიცვა აქვთ საქსოვ ფაბრიკაში. პატარა ბათლომე კარგს საჭმელს და მორჩენას ნატრულობს, ერთისთვის და მეორესთვის ფულია საჭირო, რომელიც ტურაზერს არ მოეპოვება. მერე ტრიტინაზე ჩამოუგდებს მამას ლაპარაკს, რომლის ამბავი წიგნში წაიკითხა და ეკითხება: არ შეიძლება იმის ყიდვაო?—ყველაფრის ყიდვა შეიძლებაო, უპასუხებს მამა: ჯანმრთელობის, ექიმის, კარგის საჭმელის. ყველაფრის, გარდა წმინდა სინიდისისა.—ბათლომე: განა ადამიანებს არ უყვართ სინიდისი?—ტურაზერი: ადამიანებს უყვართ ის, ვისაც ფული აქვს. მაგრამ ვისაც წმინდა სინიდისი არა აქვს, იმას სული და გული მუდამ მოუსვენარი იქნება. მთელის ჩემის ქონების ნახევარს მივცემდი, რომ პატიოსანი კაცი ვიყო. მაგრამ პატიოსნების ფულით ყიდვა არ შეიძლება...

მამა-შვილს ლაპარაკს გააწყვეტინებს კლეპელი, ფაბრიკის უფროსი ოსტატი. მის მიზეზითაა, რომ დღეს მუშები მშიერ-შიშვლები არიან. ტურაზერს პირველად ძლიერ უკვირს მისი მოსვლა, კლეპელი მართლაც არ იკადრებდა ვინმე უბრალო მუშასთან მისვლას, მაგრამ ალბად რამე გასაჭირი აქვს. „იყავით კეთილგონიერი, ეუბნება კლეპელი ცოტა სიჩუმის შემდეგ ტურაზერს: რა გინდათ, რა დამიშავებია მე თქვენთვის?" ტურაზერს თვალწინ წარმოუდგება თავისი დ ამხანაგების გაჭირვება დ მკაცრად უპასუხებს: თქვენ უნდა დაიღუპოთო!—კლეპელი: ტყუილად გგონიათ აგრე. ოთხი თვე კიდევ რომ ასე გაფიცულნი იყოთ, მე მაინც არა მიშავს, მხოლოდ თქვენ დაიღუპებით შიმშილით. მე მოზრდილი შვილები მყავს და იმიტომ მინდა მხოლოდ, თავიდან ავიცდინო ყველაფერი ეს.—როდესაც კლეპელი მოიგონებს თავის შვილებს, რომელსაც ერთხელაც არ უფიქრია, რომ სხვებსაც ჰყავს შვილები, გამწარებული ტურაზერი ძლივს შეიკავებს თავს. „გესმისთ, კლეპელ! ეუბნება:—თქვენისთანა საზიზღარი პლუტი მეორე არ მინახავს დედამიწაზე. თქვენ მრავალის წლის განმავლობაში ტყავს გვაძრობდით. ყოველ უბრალო შემთხვევით სარგებლობდით, რომ ვნება მოგვეტანათ ჩვენთვის. ფეხ-ქვეშ ეგებოდით დირექტორს და თუ რამე საჭიროებისთვის მივმართავდით მას, იგი ყოველთვის თქვენზე მოგვითითებდა: მიმართეთ კლეპელს, როგორც ის დაინახავს საჭიროდო. თქვენის მიზეზით გვეძლეოდა ასე მცირე ქირა, თქვენის შემწეობით ვასრულებდით ყოვლად საზიზღარ სამუშაოს. მაგრამ ეხლა გაგისწორდებით!"

საქმე ისაა, რომ კლეპელმა შეურაცხყოფა მიაყენა მუშას მარიამ ცელბერს, რომელსაც უთხრა: შენს დას მაშინ მივიღებ ფაბრიკაში, თუ წინააღმდეგობას არ გამიწევს და დამნებდებაო. მარიამ ცელბერმა უჩივლა კლეპელს, საქმე ხვალ უნდა გაირჩეს; ერთად-ერთი მოწმე ამ ამბისა ტურაზერია, რომლის ჩვენებას შეუძლია დაღუპოს კლეპელი. ამიტომ უკანასკნელი ჰპირდება ტურაზერს 200 გულდენს ქრთამს ეხლავე, მერე ქირის მომატებასაც, თუ ჩვენებას შეცვლი და ხვალ სასამართლოში იტყვი: კარგად არ გამიგონია, რა უთხრა კლეპელმა ცელბერს და ამისთვის ვერ დავიფიცებო. კლეპელმა იცის, რომ ადვილად ვერ დაიყოლიებს ტურაზერს, ამიტომ არწმუნებს, სხვაც ასე მოიქცევა, ცოლშვილს ნუ დაღუპავ, გაფიცვა უნდა გათავდეს მაინც, მუშები ვერ გასძლებენ მეტს, შენ სამსახურსაც კი გაუწევ მათ, რადგან შენის ხვალინდელის ჩვენებით საქმეს ბოლო მოეღება და მე ვეცდები ყველანი ისევ მივიღოო.—მე არ შემიძლია, საძაგლობა ჩავიდინო, უპასუხებს ტურაზერი. კლეპელი არ ჩქარობს. საღამოს კიდევ შემოვივლიო, ეუბნება: მოელაპარაკე ცოლს.—თუ დაგიჯდება ჩემი რჩევა, კარგი, თუ არა სამუდამოდ დაჰკარგავ ადგილს, სხვები-კი ისევ ფაბრიკაში დარჩებიანო.

კლეპელის გასვლის შემდეგ, პატარა ბათლომე ჰკითხავს მამას: რად გაუჯავრდი კლეპელსო?

ტურაზერი: გავუჯავრდი კი არა, ოცჯერ მომეტებულად უნდა გავჯავრებულიყავი. როგორც-კი შემოვიდა სახლში, მაშინათვე გარედ უნდა გამეგდო ის უსინიდისოო!

შემოდიან მუშები, გამხდარნი და მშიერები. ლაპარაკობენ გაფიცვისა და კეპელის შესახებ. დირექტორთან მისულან, მოუთხოვიათ კლეპელის გაგდება და იმას უთქვამს, თუ კლეპელი ცუდი კაცია, ეგ ხვალ გამოჩნდება სასამართლოშიო. ყველას ხვალინდელის დღის იმედი აქვს. ტურაზერი მარტო დარჩება და კლეპელის დაპირებაზე დაიწყებს ფიქრს. ამხანაგების მწუხარე და მშიერმა სახემ კიდევ უფრო აგრძნობინა გაჭირვებული მდგომარეობა. ეჭვი შეეპარა ამხანაგების შესახებ, ყველანი წავლენ სამუშაოდო. მოდიან ანნა და მარიამ ცელბერები, რომელ

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2315.

მეტრის მანძილზე მიუახლოვდებიან. ინგლისელებს უმთავრესად ჩუმბის ხეობის დაჭერა სწადიანთ. ეს ხეობა სიგრძით 60 კილომეტრია და სიგანით 35 კილომეტრი. რაკი ამ ხეობას დაიჭერენ, მერე მთელი ტიბეტის ბატონიც ინგლისელები გახდებიან.

ამ ექსპედიციას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ექმნება. აქამდე ხელ-უხლებელ ტიბეტში ევროპის გავლენა გაძლიერდება და ევროპის ვაჭრობა გაჩაღდება. ამას გარდა ამ ექსპედიციას სხვაფრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასწინად ინგლისის პირველმა მინისტრმა ბალფურმა სთქვა, ინგლისს ინდოეთის საზღვრის გამაგრება სწადიანო.

ინგლისის პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს. ლიბერალურმა პრესამ სასტიკად დაჰგმო მთავრობის ქცევა, სამაგიეროდ იმპერიალისტურმა პრესამ მთავრობას დაუჭირა მხარი და ექსპედიციის გაგზავნა მოიწონა: ინგლისი უნდა ეცადოს და ტიბეტში თავისი გავლენა გააძლიეროსო, რადგან ტიბეტზე რუსეთსაც თვალი უჭირავსო.

ტიბეტის ნაწილი ჩინეთის იმპერატორს ემორჩილება. დღევანდელი დეპეშა ტიანძინიდან იუწყება: „ამბობენ, ინგლისი და ჩინეთი შეთანხმდნენ, რომ ტიბეტი ინგლისმა დაიჭიროსო“.

კამათი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაზე

დელკასეს შემდეგ მინისტრად ნამყოფმა ლეიგმა ილაპარაკა. ლეიგი უკიდურეს მარცხენა პარტიას მიუბრუნდა და სთქვა: „ჩვენ თქვენის რეზოლიუციის (ჰიუბარის რეზოლიუციისა) წინააღმდეგი ვართ. თქვენსავით ჩვენც მშვიდობიანობის მომხრეები ვართ; თქვენსავით ჩვენც გვაწუხებს დიდი სამხედრო ხარჯი, მაგრამ ზოგიერთ საქმეს მაინც ვერას დროს ვერ დავივიწყებთ. ჩვენ არ გვინდა, რომ საზღვარ-გარედ ვაფიქრებინოთ ვისმეს, საფრანგეთი თავის მოვალეობაზე ხელს იღებს და თავის კანონიერ წმინდა საქმეს აღარაფრად არ აგდებსო. ჩვენ ახალგაზრდობას ცრუ იმედებით თვალებს არ უნდა ვუხვევდეთ და ჩვენ მამაც ჯარს არ ვანაზებდეთ. იქნება ისეთი წამი დადგეს, რომ ამ ჯარის შველა დაგვჭირდეს. აქ საფრანგეთის ეკონომიურ მომავალზე იყო ლაპარაკი. გაიხსენეთ ძველი ანდაზა: „ვინც ძლიერია, მდიდარიც ისაა“. გერმანია სწორედ 1870 წ. გამარჯვების შემდეგ გახდა პირველ-ხარისხოვან სახელმწიფოდ, ეკონომიურად გაძლიერდა და ჩვენ მსოფლიო ბაზრიდან გაგვდევნა. საფრანგეთსაც მშვიდობიანობა უნდა ეწადოს, მაგრამ ამავე დროს ხელი ხმლის ვადაზე უნდა ედვას და ყოველთვის ახსოვდეს, რომ ძალა თავისუფლების ბურჯია“.

ლეიგის ყოველ სიტყვის შემდეგ მარჯვენა პარტია და ცენტრი გაძლიერებულ ტაშს უკრავდნენ, სოციალისტები კი ლაპარაკს აწყვეტინებდნენ. ლეიგის შემდეგ ტრიბუნაზე ჟორესი ავიდა. ზომიერ სოციალისტების მეთაურმა დიდის ხმით დაიძახა: „მე მინდა აღვნიშნო, რომ, ეს-ეს არის, ლეიგმა საშინელი, უღვთო სიტყვა წარმოსთქვა;“ მარჯვენა პარტიამ და ნაციონალისტებმა საზარელი ყვირილი მორთეს: „წესიერება ნუ გავიწყდებათ! წესიერება!—„დიახ, უღვთო სიტყვა!“—გაიმეორა ჟორესმა. მარჯვენა პარტია და ნაციონალისტები განუწყვეტლივ ყვიროდნენ: „წესიერებაო!“ მაგრამ სოციალისტების მეთაურმა მაინც განაგრძო ლაპარაკი და თავის დიდის ხმით საშინელი ხმაურობა და ყვირილი დაჰფარა. ჟორესმა სთქვა: „თქვენ ცდილობთ ჩემი თავისუფალი პროტესტი ძალით გააქარწყლოთ. აქაც თქვენ საყვარელ ძალმომრეობის პოლიტიკას ადგეხართ. თქვენ იმ აზრისა ხართ, რომ მხოლოდ ის ერია დიდებული, რომელიც მახვილით ემუქრის უცხო ერებსაო. ამ აზრის წინააღმდეგ კაცობრიობისა და თითონ საფრანგეთის სახელით პროტესტს ვაცხადებ. აბა ერთი დაფიქრდით, რას იფიქრებს საფრანგეთზე მთელი ქვეყნიერობა? თქვენ ამბობთ: დაე, ჯერ სხვებმა დაიწყონ და მერე ჩვენც დავხედავთო. მთელი ქვეყნიერობა, ომის მოლოდინით შეშინებული, აუარებელ სამხედრო ხარჯებს ქვეშ ისრისება და სიღატაკესა და მონებაშია ჩავარდნილი. უსათუოდ საჭიროა, რომ საფრანგეთმა ამაზე ხმა ამოიღოს. თქვენ კი აცხადებთ, ეგ ჩვენი საქმე არ არისო. თქვენ გინდათ, რომ ჩვენი დიდებული საფრანგეთი საუკუნოდ ომის მომხრე იყოს. ლეიგის სიტყვაც ამიტომ მიმაჩნია უღვთო სიტყვად. განაგრძეთ! ჩვენში გერმანიის ჯავრის ამოყრა აღარავის არა სწადიან. თქვენ ცილსა სწამებთ ჩვენ სამშობლოს!“ მარჯვენა პარტია და ნაციონალისტები პროტესტს აცხადებენ, უკიდურესი მარცხენა პარტია გაძლიერებულ ტაშს უკრავს.

ჟორესს ისევ ლეიგმა უპასუხა: „ჩვენ გვინდა ძლიერის ჯარისა და ფლოტის მფარველობის ქვეშ მშვიდობიანად ვიმოქმედოთ და ჩვენი სამშობლო ეკონომიურად გავაძლიეროთ“. უკიდურესი პარტია საშინელის ხმაურობით სიტყვას აწყვეტინებდა ლეიგს. ზოგიერთმა სოციალისტმა ბეჯითად სთხოვა ჟორესს, ლეიგს უპასუხეთო, მაგრამ ჟორესმა უარი სთქვა.

ამ დროს პალატის თავმჯდომარემ ლოკრუამ ჟერვალ-რეამისაგან წარდგენილი რეზოლიუცია წაიკითხა: „პალატა მთავრობის განცხადებას იწონებს და მორიგ საქმეების განხილვას შეუდგება“. სოციალისტებმა მოითხოვეს, პირველად ჰიუბარის რეზოლიუციას უნდა უყაროს კენჭიო (ჰიუბარმა მოითხოვა, მთავრობა სამხედრო ხარჯების შემცირების თაობაზე სხვა სახელმწიფოებს მოელაპარაკოსო), მაგრამ პალატამ 463 ხმით 109 წინააღმდეგ უარ-ჰყო სოციალისტების წინადადება. ამის შემდეგ 490 ხმით 66 წინააღმდეგ პალატამ ჟერვალ-რეამის რეზოლიუცია მიიღო. ამ რეზოლიუციის წინააღმდეგობა მხოლოდ სოციალისტებმა და ზოგიერთმა რადიკალ-სოციალისტმა გაუწიეს.

ახალი ამბავი

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის თავადის **გ. ს. გოლიცინის** ჯანმრთელობის ბიულეტენი: ტემპერატურა დილით 36,6, საღამოთი 37,2, მაჯა 64. თვითგრძნობიერება კარგი აქვს. ანთება კანისა კლებულობს. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადომსკი.

19 ნოემბერი, საღამოს 8 საათი.

◆ „ჩერნ. ვესტ.“-ში ვკითხულობთ: „სოხუმში ამბავი მივიდა, რომ საბჭოს მიერ ქალაქის მოურავად არჩეული **ბ-ნი აბულაძე არ დაამტკიცეს** აღნიშნულ თანამდებობაზეო“.

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის განკარგულებით, აგრონომს **ს. ნ. ტიმოფეევს გამოუკვლევია ის პეპელა**, რომელიც დასავლეთ საქართველოში სიმინდს გაუჩნდა. ბ-ნ ტიმოფეევს შეუდგენია წიგნაკი, სადაც ჩამოთვლილია ამ პეპელასთან საბრძოლველი საშუალებანი. წიგნაკი მალე გამოვა რუსულსა და ქართულს ენაზე.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრმა ნება დართო 5 დეკემბერს გაიმართოს ბაქოში **ნავთის მრეწველთა კრება**.

◆ ტფილისის **ვაჟთა მესამე გიმნაზიის** მთავრობას, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს საკუთარი შენობა აავოს გიმნაზიისათვის. ტფილისის მოქალაქემ მიხეილ ბარსკიმ განცხადება გადასცა გიმნაზიის მთავრობას საჭირო ადგილის დათმობის შესახებ. ბარსკის ადგილი ჰქონია მე-8—9 ნაწილში, არსენალის გვერდზე. ბარსკი ჰპირდება გიმნაზიას 2,000 ოთხ-კუთხ საჟენი მიწის უფასოდ დათმობას იმ პირობით, თუ გიმნაზიის მთავრობა ადგილის დამტკიცების შემდეგ შეუდგება საგიმნაზიო შენობის აგებას. ამასთან გიმნაზიაში 6 მოსწავლეს ბარსკის სახელით ნება ექნება სწავლისა სასწავლო ფულის გადაუხდევინებლად. თუ გიმნაზიამ მიიღო ნაჩუქარი ადგილი და დანაპირი-კი არ აასრულა, გიმნაზიის მთავრობა ვალდებული იქნება ბარსკის გადაუხადოს 20,000 მანეთი. ამ დღეებში გიმნაზიის მთავრობის მინდობილებით განსაკუთრებული კომისია დაათვალიერებს ბარსკის მიერ ნაჩუქარ ადგილს.

◆ **მცენარეების გამოფენა გაგრაში** დასრულდა 9 ნოემბერს. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა ექსპონენტმა. ამათში დიჯილდოვებულ იქმნა 400-ზე მეტი.

◆ გაგრის **საკლიმატო სადგურის** დროებით დირექტორად, პოლკოვნიკ პეშკოვის ნაცვლად, დაინიშნა კავკასიის საბრეშუმო სადგურის გამგე ნ. ნ. შავროვი. როგორც გავიგეთ, მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებით, ბ-ნი შავროვი დარჩება საბრეშუმო სადგურის გამგეთაც.

◆ პეტერბურგში არსებობს თავშესაფარი პრინცის პეტრე გიორგის ძის ოლდენბურგის სახელობისა. 5 ნოემბერს **გაგრაში გაიხსნა** ამ თავშესაფარის განყოფილება. დაესწრნენ პრინცის მეუღლე ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგისა და პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგისა. ჯერჯერობით თავშესაფარში მიიღეს 70 ბავში, ვაჟი და ქალი. სხვათა შორის, პროგრამაში ქართულისა და თათრულ ენის სწავლებაც შედის.

◆ 18 ნოემბერს, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრის ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით, მოხდა კრება იმ კომიტეტისა, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს იმათ, ვინც სან-ლუის **საერთაშორისო გამოფენაში** მონაწილეობას მიიღებს. ფინანსთა სმანიისტროს კომიტეტისთვის გადაუდვია 5,000 მან. კომიტეტში მიწვეულნი არიან სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი, ქალაქის მოურავი, მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის წარმომადგენელი და სხვანი. სხდომაზე, სხვათა შორის, ზოგიერთმა წევრმა განაცხადა, ეხლა დაგვიანებულია, რომ ჯეროვანად მოვაწყოთ კავკასიის განყოფილება აღნიშნულ გამოფენაზე, რადგან იანვრის პირველ რიცხვებიდან საჭიროა ექსპონატების აქედან გაგზავნაო. კარგა ხანს კამათის შემდეგ კრება ვერავითარ გამორკვეულ მოსაზრებას ვერ დაადგა და სხდომა სხვა დროსათვის გადაიდვა.

◆ ამ სამი დღის წინად სხდომა ჰქონდა ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის **წყლის მილის** გაფართოვება. კომისიამ განიხილა ტეხნიკური პროექტი ფილტრების მოწყობის შესახებ. ლისიცევის პროექტით, საუმჯობესოა ინგლისელის მექარხნის პეშას სისტემის ფილტრები. ამ პროექტმა დიდი კამათი გამოიწვია. ინჟენერი კირაკოზოვიც დაეთანხმა მომხსენებლის აზრს. კირაკოზოვი ამ სისტემის ფილტრებს ამჯობინებს ინგლისისა და ამერიკის ფირმათა სისტემის ფილტრებს, რადგან პეშას ფილტრები იაფადაც დაუჯდება ქალაქს და უხვად წყალსაც მისცემსო. ხმ. ი. ალიხანოვმა, გამგეობის წევრმა ენფიანჯიანცმა და სხვებმა საუმჯობესოდ სცნეს ამერიკულ სისტემას ფილტრები. კომისიის წევრთა ნახევარი კირაკოზოვის მოსაზრებას მიემხრო, ნახევარი ი. ალიხანოვისას. კომისიამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის მოურავს დანიშნოს შეერთებული სხდომა გამგეობისა და კომისიისა, რომელზედაც ხელ-ახლავ უნდა განიხილონ ეს საკითხი.

◆ განზრახვაა, **ჯამაგირები მოუმატონ** მაზრისა და სოფლის ექიმებს. ჰფიქრობენ ჯამაგირების გადიდებას 50%-ით და გზის ფულის მომატებას.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს **სასწავლებელთა კომისიის თავმჯდომარედ** არჩეული თავ. ვ. ს მიქელაძე გუბერნატორმა დაამტკიცა ამ თანამდებობაში.

◆ **აგარაკის პატრონებს მცხეთის** სადგურის მახლობლად შუამდგომლობა აღუძ-

---

თაც უკვე უშოვნიათ სხვაგან ადგილი, და მოაგონებენ ტურაზერს, ხვალ მართალი ილაპარაკეო.

სახლში დაბრუნდება ტურაზერის ცოლი ალბინა, დაღლილი, დაქანცული. სულ რამდენიმე კაპეიკი აუღია მხოლოდ ქირა. თავის პატარა ბათლომეს ვერ მოუტანა დაპირებული კუპატები და მომავლით ანუგეშებს შვილს. ცოლ-ქმარი მარტო რომ დარჩებიან, ტურაზერი გამოსაცდელად ეტყვის ცოლს: კლეპელი მეიკსნერთან ყოფილა, რომ მოისყიდოს და ხვალ თავის სასარგებლოდ ალაპარაკოს, მეიკსნერი კიდეც დათანხმებულაო. ალბინა ლანძღვას დაუწყებს მეიკსნერს, როგორ უღალატა ამხანაგებს, იგი უნდა მოვკლათო.—მაშ, მეც უნდა მომკლათ, გააწყვეტინებს სიტყვას ტურაზერი, მეც მომისყიდა კლეპელმაო. აუხსნის ალბინას, რომ გამოგცადე: მეიეკსნერთან სრულებით არა ყოფილა კლეპელი და ჩემი მოსყიდვა მოინდომა, ქრთამი შემომაძლიაო. ალბინა უცბად შეიცვლის აზრს, მზად არის ყველაფერი დაივიწყოს და უკუაგდოს, ოღონდ კი თავი დააღწიოს დღევანდელს სიღატაკეს. ტურაზერი წინააღმდეგია. ცოლი აჯერებს, არ უნდა დალუპო ცოლ-შვილი, სხვებსაც არაფერს არგებ ამითაო. მათ ლაპარაკს წამოესწრება კლეპელი, მისი და ალბინას სიტყვები ბოლოს მოსტეხენ ტურაზერს, იგი თანახმაა მიიღოს ქრთამი, ოღონდ ერთს რასმეს სთხოვს კლეპელს: ჩემი ამხანაგები არ დასაჯო და ყველა მიიღე ისევ ფაბრიკაშიო, რაზედაც კეპელი ორ-აზროვანად უპასუხებს: რამდენად ჩემზე იქმნება დამოკიდებულიო.

მეორე მოქმედება ტურაზერის სახლის დერეფანშია. მუშები სასამართლოს დადგენილების მოლოდინში აქ შეკრებილან და თავიანთ ჭირ-ვარამზე ლაპარაკობენ. „კარგია, კანონები იცვლება და ქვეყანა წინ მიდის“.—მუშები ოცნებობენ იმ დროზე, როდესაც მხოლოდ ის ჭამს პურს, ვინც იმუშავებს, და აღარ იქმნება ისე, რომ კაცს მუშაობა უნდოდეს და სიმშილით-კი ჰკვდებოდეს. ყველას ნამეტან აინტერესებს, თუ რას დაადგენს მოსამართლე, ღრმად დარწმუნებულია, რომ კლეპელის დამარცხებით ბოლო მოეღება მათ გაჭირვებასაც. როდესაც თავს მოიყრიან ყველა მუშები, ქალები და კაცები, მეიკსნერი ანგარიშს წარუდგენს ამხანაგებს, თუ რამდენი ფული შეიკრიბა ამ გაფიცვის დროს და რამდენი და რა წესით დაიხარჯა. მერე შეეკითხება: რა ვუყოთ დარჩენილს ფულსო?—უმრავლესობა მოითხოვს დაუყოვნებლივ განაწილებას. ეგ უმრავლესობავე მოითხოვს, რომ გაფიცვა გათავდეს და ხვალინდელი დღიდანვე შევუდგეთ მუშაობას, რადგან მეტი მოთმენა აღარ შეგვიძლიაო. როგორც კი ამას დაადგენენ, შემოდის ფაბრიკის ბუხჰალტერი და მუშებს ანგარიშის წიგნაკებს დაურიგებს. ყველანი თავ-ზარ დაცემულნი არიან: ანგარიშის წიგნაკების დაბრუნება დათხოვნას ნიშნავს. მეიკსნერი და მისი ამხანაგები ეხვეწებიან ბუხჰალტერს: უკან წაიღე წიგნაკები, ჩვენ უკვე დავადგინეთ მუშაობის დაწყება, უთხარი დირექტორს, რომ ვერ გვნახე აქ. ბუხჰალტერი გამოუცხადებს, რომ ეგ შეუძლებელია, თქვენი დათხოვნა გუშინვე გადაწყდაო. ამ დროს შემორბის მუშა შიმელი და ყვირის: მოგვატყუილეს, მოგვატყუილეს! კლეპელი გაამართლეს, კლეპელი პატიოსანი კაცი ყოფილა! ტურაზერმა დაიფიცა, რომ კლეპელი პატიოსანი კაციაო!

შემოდიან ატირებულნი ცელბერები, აუხსნიან ამხანაგებს, თუ რა მოხდა სასამართლოში, თუ როგორ განაცხადა ტურაზერმა: კარგად არ ვიცი, ვერ დავიფიცებო. კლეპელი გაამართლეს და მარიამ ცელბერს მიუსაჯეს კლეპელის ტყუილად შეურაცხყოფისათვის 8 დღით დაპატიმრება. მუშები მეტად აღელვებულნი არიან, ტურაზერს ემუქრებიან; მოსყიდულიაო, გაიძახიან. ტყუილად არწმუნებს ყველას ალბინა: ჩემი ქმარი მართალიაო. მისი სიტყვები არავის სჯერა.

ცოტა ხნის უკან დერეფანი დაცალიერდება. შემოვარდება ტურაზერი, უკან მუშები მოსდევენ. ალბინა და ტურაზერი ძლივს მოასწრებენ კარის ჩაკეტას და გამაგრებას. მუშები ფანჯრებს ჩაუმტვრევენ და ემუქრებიან, ცოცხალი მაინც ვერ გადაგვირჩებიო.—ტურაზერი შეწუხებულია, სინიდისი მოსვენებას არ აძლევს, რომ მისის მიზეზით უბრალოდ დასაჯეს, სახელი გაუტეხეს მარიამ ცელბერს. უნდა ოჯახის სიხარულში მაინც დაივიწყოს სინიდისის ქენჯნა, ცოლს ბაზარში ჰგზავნის საჭმელ-სასმელის საყიდლად, თვითონ პატარა ბათლომესთან ერთად დაიწყებს ცეკვას, სიმღერას...

ხოლო ამ ძალდატანებითს, ამ ბოროტს მხიარულებას მეტად საშინელი სურათი მოსდევს მესამე მოქმედებაში, რომელიც იწყება იმით, რომ ტურაზერის სახლიდან გააქვთ ორი პატარა კუბო: ტურაზერის შვილებმა ბევრი ჭამეს, უჩვევმა კუჭმა ვერ აიტანა კარგი და ბევრი საჭმელი, ავად გახდნენ და გადაიცვალნენ. ბევრს ეხვეწება ალბინა, მაგრამ ტურაზერი არ მიჰყვება შვილების გვამებს: არ შემიძლია ვუყურო მათ დასაფლავებასო. ტურაზერთან დარჩება მისი მეგობარი ნასვეტერი, რომელსაც ეკითხება: არ გერიდება ჩემისთანა განკიცხულთან მოსვლა, განა არ გჯერა, რასაც ამბობენ ჩემზეო?—**ნასვეტერი**: არ შემიძლია ვიფიქრო, რომ ეგ მართალია.—**ტურაზერი:** არაფერი არაა უმიზეზოდ. გესმის, თუ ჩემი ბათლომე მოკვდა, ალბად, რამე მიზეზი იყო. ყველაფერში მიზეზი უნდა ვეძიოთ, და ძალიან სისულელეც იქნებოდა, რომ რამე უმიზეზოდ ხდებოდეს. რისთვის მოკვდა ჩემი შვილი, რისთვის? ათი ათასი ცოცხალია და

რავთ სატელეგრაფო სადგურის დაარსების შესახებ მცხეთის საფოსტო განყოფილებასთან.

◆ 18 ნოემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობამ ხელოსანთა მოურავის რაფაელოვისა, დედათა პირველ გიმნაზიის უფროსის მ. ფ. კლაუსისა, დედათა საპროფესიონალო სახელოსნოს გამგის და სხვათა თანადასწრებით განიხილა ახლად შემუშავებული პროექტი **საპროფესიონალო სასწავლებელში** სამუშაო პროგრამისა. გამგეობამ დაწვრილებით განიხილა პროგრამა, მიიღო იგი და დაამტკიცა. ახალის პროგრამით, მეოთხე კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს მიეცემა ატესტატი ხელოსნის თანაშემწისა.

◆ **მეაბრეშუმეთა საზოგადოებას** „თამარს“ ამ წელს შეუძენია 86 ფუთი და 21 გირვანქა აბრეშუმი, უმთავრესად გორის მაზრის სოფლებში.

◆ 16 ნოემბერს, პოლიციის მე-9 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე, ნუროვის სახლში, სალამოთი ტფილისის მცხოვრებს პავლე პეტლინს მოუპარავს სხვა და სხვა ნივთები. პეტლინი დააპატიმრეს.

◆ 16 ნოემბერს ვანქის ქუჩაზე მცხოვრებმა მკერვალმა მინასიანცმა პოლიციას გამოუცხადა, რომ ვიღაც ბოროტ-ფანმზრახველს ჩემი სახლიდან წაუღია 70 მან. ღირებული სტოლის საათი და ორი პალტოო.

◆ მიხეილის ქუჩაზე გუშინ-წინ მეეტლე № 24 წამოედვა ახალციხის მოქალაქეს შვილს სტეფანე არობაევს, ქვეშ მოიტანა და ძალიან დააშავა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

—

შეცდომის გასწორება. „ცნ. ფურ.“ მე-2328 ნომერში, 18 ნოემბრის დეპეშაში დაბეჭდილია: **სოფია.** „შეერთებულის ოპოზიციის მიზეზად“. უნდა აყოს—შეერთებულ ოპოზიციის დამარცხების მიზეზად.

—

დღევანდელ №-თან ერთად ხელის-მომწერთ ურიგდება **სურათებიან დამატების** მე-169 №, რომელშიაც მოთავსებულია: ლექსი (ტანიდან), თარგმანი განდეგილისა; „№ 13“, დრამა ორ სურათად ნაიდენოვისა, თარგმანი ი. ა—ძისა; სურათები: „შრომნები მოფრინდნენ“, სავრაროვისა; „გაგრა.—საყმაწვილო თავშესაფრის გახსნა“ და ორი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 13 ნოემბერს ქალაქის კლუბის დარბაზში, ქ-ნ სმაგინის თაოსნობით, გაიმართა საცეკვაო სალამო ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. ბილეთების გაყიდვით ფული ბლომად შემოვიდა; სალამოს კი საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

◆ ბავშვებისთვის მზრუნველ საზოგადოების სასარგებლოდ 22 ნოემბრისათვის დანიშნული სალამო გადაიდო ნაშობევისათვის.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ წელს ზაფხულს სოფელ ამაღლების მცხოვრებმა ს. წერეთელმა რევოლვერით მოჰკლა ბოქაული იაშვილი და ამავე სოფლის მამასახლისი. ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა ექვს ამ თვეს, წერეთელი დამნაშავედ იცნო ზემო აღნიშნულ მკვლელობაში და მიუსაჯა: ყოველისავე ღირსებისა და განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და თორმეტის წლით კატორგაში გაგზავნა. წერეთელს იცავდა ნაფიცი ვექილი მ. ფალავა.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობა კარგა ხანია შეუდგა ქუთაისის მეაბანოეებისა და პარიკ-მახერ-დალაქებისათვის სავალდებულო დადგენილებათა შედგენას. როგორც იქმნა, ეს დადგენილებანი დაჰბეჭდეს და ამ დღეებში ქუჩა-დუქნებში გამოაკრეს, მაგრამ რისთვის ან ვისთვის—სწორედ ვერ გეტყვით. ნუთუ გამგეობამ არ იცის, რომ ჩვენი მეაბანოეები და პარიკმახერ-დალაქები და ამათი მოსამსახურენი არა თუ რუსულ წერა-კითხვის, ბევრი მათგანი ქართულზედაც მწყრალად არიან. მაშასადამე,—მათთვის გაუგებარ ენაზე სავალდებულო დადგენილებათა დაბეჭდვა რის მაქნისია. ამ დღეებში სადალაქოებს ჩამოვუარე და სწორედ კრილოვის იგავ-არაკი: „მაიმუნი და სათვალეები“ მომაგონდა: ჩვენი პარიკმახერ-დალაქები გამგეობის მიერ დაბეჭდილს წიგნაკებს ხან წაღმა დაიჭერდნენ ხელში და ხან უკუღმა, და, როცა ვერა გაუგეს-რა—კუთხეში მიაგდეს. განა ძნელი იყო, რუსულ ენასთან თანასწორად, ქართულადაც, ყველასათვის გასაგებრად, დაბეჭდილიყო.

◆ დადგა ნოემბერი და თან მოჰყვა ქუთაისის ხშირი სტუმარი—წვიმები. ამას თან დაერთო სიცივეები, რადგან ახლო მთებზე თითქმის ყველგან ჩამოსთოვა. ხუთ ამ თვიდან კი ამინდი შეიცვალა და კვლავ თბილი დღეები დადგა, მაგრამ ამას თან დაჰყვა ზენა-ქარი.

◆ ამ ჟამად პრინც ოლდენბურგელის სახლს ანგლისკი ქუჩაზე დიდ რემონტს უკეთებენ. ამ სახლში უნდა დაბინავდეს ბ-ნი ქუთაისის გუბერნატორი; ის სახლი-კი, სადაც ამ ჟამად ბ-ნი გუბერნატორი ცხოვრობს, ერთ ადგილობრივ თავადს შეუძენია და თვითონვე აპირობს იქ ცხოვრებას.

რუსეთის ქრონიკა

◆ „ცენტრის“ გალატაკების მიზეზთა გამომკვლევმა კომისიამ პრინციპიალურად გადასწყვიტა საკითხი ადგილ-მამულის გამოსასყიდ გადასახადების შემცირების შესახებ. როგორც „ნოვოე ვრემია“-ს გაუგია, ეს საკითხი ახლო მომავალში განსახილველად გადაეცემა უმაღლესად დამტკიცებულ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა გამომკვლევ კომისიას.

◆ არხანგელსკში მომრიგებელ მოსამართლეს განუხილავს საქმე პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის სტუდენტად ნამყოფის ხმელევცევისა, რომელიც ადმინისტრატიულის წესით არხანგელსკში ყოფილა გადასახლებული. ხმელევცევი პასუხის გებაში მიუციათ ქალაქ არხანგელსკიდან თავის ნებით ორის კვირის წასვლისა გამო. 5 ოქტომბერს ხმელევცევს სამარადან დეპეშა მიუღია, შენი სიდედრი სიკვდილის პირად არის და მოუსწარი ცოცხალსაო. ხმელევცევს მაშინვე მიუმართავს გუბერნატორისათვის და უთხოვნია ორი კვირით სამარაში წასვლის ნება. გუბერნატორს ნება არ მიუცია და უთქვამს, მე არა მაქვს უფლება ადმინისტრატიულ წესით გადმოსახლებულთ სხვა გუბერნიაში გასვლის ნება მივსცე, ეს შინაგან საქმეთა მინისტრის საქმეაო. რადგან მინისტრისაგან შეუძლებელი იყო საჩქაროდ ნებართვის აღება, ხმელევცევი წასულა სამარაში ნება დაურთველად. სასამართლოში ბრალდებულმა ხმელევცევმა სთქვა, კრიტიკულ მდგომარეობაში ვიყავ, არ შემეძლო არ დამერღვია კანონი, რადგან დაუყოვნებლივ უნდა წავსულიყავ ცოლითა და შვილებით მომაკვდავ სიდედრის სანახავად, სამარაში მე მხოლოდ დავესწარ ძვირფას ადამიანის დასაფლავებასაო. სასამართლომ ბრალდებული 1 მანეთით დააჯარიმა.

◆ „ფინლ. გაზ.“-ში დაბეჭდილია ფინლიანდიის ბეჭდვითი საქმეთა უმთავრეს გამგეობის განკარგულება, რომლის ძალითაც გაფრთხილება გამოეცხადა გაზეთს „კაიკუ“-ს ერთის წერილის დაბეჭდვის გამო. „დღევანდელ პირობებში, როდესაც მომავალი კრება სეიმისა დამოკიდებულია ფინლიანდიაში დამყარებულ მშვიდობიანობაზე, უმთავრესმა გამგეობამ უადგილოდ სცნო გაზეთში ასეთის წერილის მოთავსება, რომელიც დაფუძნებულია ჯერ კიდევ შეუმოწმებელ და ტენდენციონურად შედგენილ ისტორიულ წყაროებზე“-ო.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრს განსაკუთრებულ ცირკულიარით განუმარტავს, სახელმწიფო სამსახურში შემსვლელნი, რომელნიც გლეხთა ან მოქალაქეთა საზოგადოებაში ირიცხებიან, სამსახურში შესვლის დღიდანვე განთავისუფლებულ უნდა იქმნან ამ საზოგადოების ყოველგვარ ვალდებულებისაგანაო.

◆ „ვილენ. ვესტნ.“-ში დაბეჭდილია განკარგულება, რომლის ძალითაც დვინსკის პოლიციის მოხელეებს ევალებათ, თვალყური ადევნონ ქალაქში ახალ მოსულთ და დაუყოვნებლივ განაძევონ ქალაქიდან ისინი, ვისაც თავის ვინაობის დამამტკიცებელი საბუთი არ აღმოაჩნდება.

◆ მოსკოვის ქალაქის გამგეობას შეუდგენია პროექტი ქალაქში გასაყვან ელექტრონის რკინის გზებისა. აღნიშნულია 180 ვერსზე ლიანდაგის გაყვანა. მუშაობის დაწყებას მომავალ წლიდან ჰფიქრობენ, ხოლო დასრულებას—1906 წლისათვის.

◆ მოსკოვის ვაჭართა საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე, რომ საკომერციო სასწავლებლები ფინანსთა სამინისტროს ხელში დარჩეს. შუამდგომლობის აღძვრა გამოიწვია იმ ხმამ, ვითომ ეს სასწავლებლები საერო განათლების სამინისტროს უნდა გადაეცესო.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუმუშავებია წესები განსაკუთრებულ საგუბერნიო კომისიებში იმ პროექტის განხილვის შესახებ, რომლითაც აზრად აქვთ სოფლის მცხოვრებთა კანონმდებლობის შეცვლა და მისი შეთანხმება ადგილობრივ პირობებთან. კომისიები უნდა შესდგეს მხოლოდ გუბერნიებში, სადაც საერობო უფროსთა დებულება არსებობს, აგრეთვე იმ გუბერნიებში, რომელნიც გენერალ-გუბერნატორებს ექვემდებარებიან.

◆ მოსკოვში მომრიგებელ მოსამართლეს განუხილავს ერთი საყურადღებო საქმე. მუშას პეტროვს 1898 წლიდან 1903 წლამდის უმუშავნია ერთს სახელოსნოში, სადაც 14 საათის სამუშაო დღე ყოფილა დაწესებული. დღეს პეტროვს გაუგია, რომ კანონით 12 საათზე (ორი საათით სადილისა და საუზმისათვის დასვენებით) მეტი მუშაობა არ შეიძლება. მუშას გამოუანგარიშებია 1898 წლიდან მეტი ნამუშევარი—182 მანეთი და სახელოსნოს პატრონისთვის სასამართლოში უჩივლია. სასამართლოს სახელოსნოს პატრონისათვის მიუსჯია 158 მანეთის გადახდა მუშის სასარგებლოდ და 8 მანეთი სასამართლოს ხარჯებისათვის.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. სამშაბათს, 18 ნოემბერს, ძალიან კარგად ჩაიარა ვასილ აბაშიძის ბენეფისმა. ეს წარმოდგენა ერთი საუკეთესო იყო ამ სეზონში და უნაკლულო იქნებოდა, რომ გვიან (პირველ საათზე) არ გათავებულიყო. ადრე გათავება არც შეიძლებოდა, რადგან ექვსი დიდი მოქმედება იყო წარმოსადგენი. საუცხოვოდ შეასრულეს თავიანთი როლები „ფულსა და ხარისხ“-ში ქ-ნთ გაბუნია-ცაგარელმა, ჩერქეზიშვილმა, ტასო აბაშიძემ, ბ-ნთ აბაშიძემ და ყიფიანმა. სუსტობდა ბ-ნი იმედაშვილი, რომელიც ავადმყოფ ბ-ნ შათირიშვილის ნაცვლად ლევანის როლს ასრულებდა. მოლიერის პიესაში, „ქმართა სკოლა“-ში, უპირველესი ყურადღება, რა თქმა უნდა, მობენეფისემ მიიქცია, რომელიც სგანარლის როლს ასრულებდა. სხვებსაც არა უშავდათ-რა.

ნიჭიერ მობენეფისეს სავსე თეატრი ხანგრძლივის ტაშის ცემით მიეგება. მიართვეს აგრეთვე რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი.

—

ქუთაისი. კვირას, 16 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა აზიანის კომედია „გაცრუებული იმედები“ და ორ-მოქმედებიანი ფარსი „დედის ნებიერი“. წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა. კომედიაში კარგნი იყვნენ ქ-ნნი ივანიძისა და მდივნის ასულნი (ნინო, ზარალოვის ცოლი და სონა, ამის ქალი) და ბ-ნნი აწყურელი—სტეფანე ზარალოვი—და დ. ჩარკვიანი—გაბო. ეს უკანასკნელი ამ დღეს ისე თავისუფლად თამაშობდა, რომ ვერც-კი იცნობდით. ამის მიზეზი კი უთუოდ ის იყო, რომ როლი კარგად იცოდა და ჩვეულებრივ „მეე-მეე“-ს არ იძახოდა. სწორედ სირცხვილია, რომ კაცს ნიჭი ჰქონდეს და ზარმაცობით წინ ვერ მიდიოდეს.

იგი მოკვდა... ეგ სასჯელია, სასჯელი... ღმერთო ჩემო, რა ჰკვიანი ბავშვი იყო! ვინ იცის, როგორი სასარგებლო ადამიანი გამოვიდოდა მისგან. მისი თავი მე მყავდა ჩაბარებული ® მე-კი ვერ მოვუარე...—**ნასვეტერი**: მეორე არ მოიპოვება შენზე უკეთესი მამა.—**ტურაზერი**: განა მარტო სმა-ჭამაშია საქმე! უფრო საჭიროა წმინდა სინდისი.—**ნასვეტერი**: შენ სასტიკად ხარ დასჯილი.—**ტურაზერი**: როგორც არის, შენც გაბედე და თქვი, რომ დასჯილი ვარ, დასჯილი!... მაგრამ ჩემი ბრალი არაა, ამ საძაგელი სიცოცხლის ბრალია ყველაფერი!...

მარიამ ცელბერს უკვე მოუხდია სასჯელი და შემოდის ტურაზერთან, რომ გამოეთხოვოს, რადგან ვენაში მიემგზავრება. მარიამ ერთ საყვედურიან სიტყვასაც არ ეტყვის, პირიქით ანუგეშებს და ამხნევებს, დაივიწყე ყველაფერი: რაც იყო, იყოო. ტურაზერი ეუბნება გამოთხოვებისას, ჩემი დარდი ნუ გაქვს: მთელი სიცოცხლე სუსტი კაცი ვიყავი, მაგრამ ეხლა კი გამოვიჩენ ძალას და ყველაფერს გავასწორებო. მისი ნაამხანაგარი ადოლფი მუშების ამბავს შეატყობინებს. მხოლოდ რამდენიმე მიიღეს ისევ უკან, სხვები ზოგი აქეთ-იქით წავიდა, ზოგიც დღესაც უადგილოდ და მშიერი გდიაო. მუშები ცუდად არ გიხსენიებენო, ეუბნება: ასე ამბობენ,—კარგი და პატიოსანი ადამიანი იყო, ვიდრე ეშმაკმა არ შეაცდინაო.—ტურაზერი მარტო დარჩება, სწყევლის თავის ბედს, რისთვის დამსაჯა ასე სასტიკად განგებამო! და თვითონ აძლევს თავის თავს პასუხს: განა ასე სასტიკად რომ არ დავესაჯე, რომ არ წაერთმია შვილი, ვიგრძნობდი, შევიგნებდი ჩემ დანაშაულობასო?...

მწარე ფიქრებითაა შეპყრობილი და ამ დროს პატარა შვილის ლანდი მოეჩვენება. გამოფხიზლდება, ცოცხლად, მხნედ, წამოდგება ფეხზე და როდესაც ალბინა და ნასვეტერი შემობრუნდებიან, დაწყანარებული და დამშვიდებული მიეგებება მათ. ნასვეტერს ვექილთან ჰგზავნის და ალბინას ეტყვის: ვექილს უნდა გადავსცე, განაცხადოს სასამართლოში, რომ მაშინ ტყუილი ჩვენება მივეციო. ალბინა ეხვეწება, რას შვრები, თავს როგორ იღუპავო. მაგრამ ტურაზერი შეურყეველია: „აუცილებლივ უნდა მოვიქცე ასე, გამოვსყიდო ჩემი ცოდვები. სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს, არ შეიძლება ამდენი ტყუილი. სიბოროტე უნდა გამოაშკარავდეს... მე მოვიხდი სასჯელს, მერე დავბრუნდები და მხოლოდ მაშინ შევიძლებთ პატიოსან, მოსვენებულ ცხოვრებასაო“.

ტურაზერი გადასცემს თავის სურვილს ვექილს, რომელიც აუხსნის, რომ ასეთის განცხადების შემდეგ მარიამ ცელბერის საქმე ხელ-ახლა გაირჩევა, მარიამს დაუბრუნებენ მას მოქალაქობრივ პატიოსნებას და უფლებებს, შენ ერთის წლით დაგატუსაღებენ, დასჯიან კლეპელსაც, რომელსაც კარგად დიდი სასჯელი შეხვდებაო. ვექილი აფრთხილებს; ტურაზერი თავისას იმეორებს და ვექილითა და ნასვეტერით ერთად, ზნეობრივად კვლავ აღმდგარი ® გამოცოცხლებული მიდის მოსამართლესთან.

ტურაზერის საქციელი ნამდვილი გმირულია. ცოდვის არ-ჩადენა უფრო ადვილია, ვიდრე ჩადენილის ცოდვის შეგნება და აღიარება და მისთვის სასჯელის მიღება. ცოდვას მოერიდება და არ ჩაიდენს მრავალი ჩვეულებრივი მომაკვდავი, მხოლოდ ცოდვის შეგნებას გაბედავს ათი ათასში მარტო ერთი. ტურაზერი რომ შეცდა, ეს არ გვაკვირვებს: მისის ცხოვრების მსგავსი ყოფა ძალა-უნებურად ქმნის დანაშაულობას. მაგრამ გვიკვირს, გვიხარია, მოგვწონს, როდესაც ტურაზერი დამნაშავედ იცნობს თავის თავს და მზადაა ღირსეული სასჯელი მიიღოს. ასეთის საქციელით ტურაზერი დიდად მაღლდება ჩვენს თვალში, შეიქნება გმირი და საყვარელი გმირიც. ჩვენ ვივიწყებთ მთელს მის საზიზღარ დანაშაულობას და იმედით გვევსება გული, რომ ყოველთვის განიკურნება ის საზოგადოება, რომელშიაც ასეთი შეგნებაა დანაშაულობისა.

„ბარტელ ტურაზერს“, გარდა იმ განსაკუთრებულ ინტერესისა, რომელსაც წარმოადგენს იგი, როგორც დრამა, ნამდვილი დრამა მუშების ცხოვრებისა, კიდევ დიდი ფილოსოფიურ-ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს. როგორც თვითონ ბარტელი ამბობს, ყოველს მოვლენას თავისი მიზეზი აქვს და თავისი შედეგი. ეს საყოველთაო კანონი ქვეყნიერებისა განსაკუთრების სიძლიერით მოქმედობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ყოველი ჩვენი საქციელი იწვევს ამა თუ იმ მოვლენას ახლობელ თუ შორებელ მომავალში და ყოველი ჩვენგანი პასუხის მგებელია თავის სულ უბრალო მოქმედებისთვისაც-კი. ბოროტი, ავნე მოქმედება რომ მოხდება, მას სტიქიურად მოჰყვება მისი მავნე შედეგი, მხოლოდ საქმე ისაა, ვინ უნდა იყოს პასუხის მგებელი, ვინ უნდა მიიღოს თავის თავზე დანაშაული—ნამდვილმა დამნაშავემ, თუ სხვა გარეშე პირმა? მარიამ ცელბერი და სხვა მუშები უნდა დაისაჯონ, თუ ბარტელ ტურაზერი?.

სასტიკი პასუხის მგებლობა ყველასი თავისი საქციელისათვის—ეს უნდა შეიქნეს ძირითადი ზნეობრივი კანონი ყოველის ადამიანის, ყოველის საზოგადოებისა, ერისა; ეგ უნდა იყოს ჩვენი რელიგია, ურომლისოდ ფუჭია და ცრუ ყველა ჩვენი ცდა სიტყვით თუ მოქმედებით საზოგადოების წინსვლისათვის. ტურაზერი გმირია იმიტომ, რომ შეიგნო ამ კანონის აუცილებლობა, თუმცა დიდის განსაცდელის შემდეგ.

კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დედის ნებიერ“-ში ბ-ნმა ბალანჩივაძემ (მასწავლებელი ქსენოფონტოვი), როგორც მოსალოდნელი იყო, მოხდენილის თამაშით ბევრი აცინა საზოგადოება. მაგრამ სად იყო საზოგადოება?! მხოლოდ ერთი ლოჟა იყო დაჭერილი და პარტერშიაც რამდენიმე სკამი!

—

შაბათს, 15 ნოემბერს, სცენის-მოყვარეთ გამართეს იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოადგინეს ან. ფურცელაძის ტრაგედია „ავაზაკები“. წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. წარმოდგენამ საზოგადოდ მოხდენილად ჩაიარა. განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს ქ-ნმა ქავთარაძემ ოროვსიმეს როლში და ბ-ნმა ზიაზიაშვილმა ჯირკუა თათრისაში. ჯიბგირიც კარგი იყო. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კარგს იზამენ ნამდვილი მსახიობნი, თუ სცენის მოყვარეთ მიჰბაძვენ როლების გაზეპირებაში.

დონ-ვალიანი.

მცირე შენიშვნა

ჩვენში მრავალგვარი ადგილობრივი ჯიშის ვაზია. საერთოდ ვაზის ჯიშები განიყოფება სამ კატეგორიად: სადვინე ჯიშის ვაზები, საგობე ანუ სასუფრო და საექიმო ჯიშისა. პირველ კატეგორიის ვაზები იძლევიან კარგ ღვინის დასაყენებელ ყურძენს, მეორე—კარგ საჭმელ ყურძენს, ღვინოს კი უვარგისს, მესამენი-კი საექიმო ყურძენსაც იძლევიან და ღვინოც კარგი დგება იმათი ყურძნისაგან. ასეთია, მაგალითად, სოტორნი (სემილიონი) და პედრო. ჩვენი ადგილობრივ ჯიშის ვაზები კი მხოლოდ სადვინეებია, საგობე და საექიმო ყურძნებს-კი სრულიად მოკლებულნი ვართ. მართალია, ჩვენში შეჰხვდებით „თითას“, „განჯურ ყურძენს“ და სხ. მაგრამ ესენი ხომ ადგილობრივ არ არის. საგობე ყურძნის ღირსება იხატება იმით, რომ, რაც შეიძლება, ლამაზი მტევანი, მსხვილი, ხორციანი და კარგი საჭმელი მარცვალი აქვს. საექიმო ყურძენი-კი უფრო ნაზია, მარცვალი ხორციანი კი არა აქვს, წვენით არის სავსე, რასაც უფრო ადვილად აიღებს კუჭი. საქარის სანერგეს მახლობლად მდებარე სოფლებში და თვით სანერგეშიაც არის ერთგვარი ჯიშის ვაზი, რომელსაც „ნებიერიძის ვენახს“ უწოდებენ. ამ ვაზის ერთი წლის დამყნილ ძირში ნებიერიძე აქნამდის იღებდა მანეთს და ერთ კვირტში დასამყნელად 5—20 კაპეიკამდის. მართლაც ამ ვაზის მტევანი მეტად ლამაზია. გრძელი და დიდი მტევნები იცის, კვერცხის მსგავსი ქარვის ფერი მარცვლები მჭიდროდ მისხმული აქვს ერთმანეთზე. კარგი მწიფე მტევანი რომ იხილოთ, იფიქრებთ, ხელოვნურად არის გაკეთებული სანთლისაგანაო. გემო კი არა აქვს მაინცა და მაინც საქები. მე, როგორც სპეციალისტი, დამაინტერესა ამ ჯიშმა და შევუდექი იმის გამოკვლევას, რა არის ნამდვილი სახელი ამ ვაზისა. საქარის სანერგეში „ჩაუშს“ უწოდებენ. აღმოჩნდა, რომ ეს ჯიში არც „ჩაუში“ ყოფილა და არც „ნებიერიძის ვენახი“. ყირიმში „ნიკიტის სასწავლებელში“ ამ ვაზს „ნაპოლეონის შასლას“ უწოდებენ, ნამდვილი ამპელოგრაფიული სახელი-კი ამ ვაზისა „ბიკანბლანშია“. ცოდვა კია, რომ დიდებულ სარდლის, ნაპოლეონის, სახელი ნებიერიძეთ გადაუქმნიათ ჩვენ სოფლის მევენახეებს. მაგრამ ეს ხომ პირველი მაგალითი არ არის. ჩვენში ვისგანაც შეიძინენ ვაზს, იმის სახელს არქმევენ, მაგალითად: მამუკას საფერე, თედორეს საფერე, ბუცხრიკიძის ვენახი, კვანტიძის ვენახი, ჩიკვაიძის ვენახი და მრავალი სხვა. „შასლა ნაპოლეონისა“ მართლაც მთელ დედამიწაზე თითქმის პირველ საგობე ყურძნად ითვლება თავის სილამაზით და გამძლეობით. როგორც ქუთაისის გუბერნიაში არსებულ სხვა-და-სხვა სანერგეების კატალოგებიდანა სჩანს, ერთი წლის დამყნილი ძირეული 20 კაპ. ფასდება. მაშ რად ვაძლევთ ნებიერიძეს თითო მანეთს, თუ კი 20 კ. ვიშოვნით? მიზეზი ნამდვილ სახელის უცოდინარობაა.

დ. გ. მდივანი

დაბა-სოფლები

—

სოფ. საწირე (ზემო იმერეთი) 17 წელიწადია, რაც ამ სოფელში ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა არსებობს. ეს საზოგადოება 1000 კომლისაგან შესდგება, მაგრამ არ გააჩნია ამის მეტი სასწავლებელი. ამ ბოლო დროს ისე იმატა ამ სკოლის მოსწავლეების რიცხვმა, რომ სამი წელიწადია, რაც ბავშვებს კენჭის ყრით იღებენ და ნახევარზე მეტი მსურველი უკან ბრუნდება. ამ სამის წლის წინად ლაპარაკობდნენ სკოლის გაორკლასიანებაზე, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ხალხმა სიღარიბის მიზეზით უარი განაცხადა. 26 ოქტომბერს აქ ყრილობა მოხდა. ბოქაულმა ამ ყრილობაზედაც აღძრა ლაპარაკი სკოლის გაორკლასიანების თაობაზე. ერთი საათის ბაასის შემდეგ საზოგადოებამ ერთხმად გამოაცხადა სურვილი სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთებისა და განაჩენსაც ხელი მოაწერა.

დამსწრე.

წვრილი ამბები

—

ძილიც ასეთი უნდა!

ქალაქ ბრემენში (გერმანიაში) ამ ჟამად დიდი და პატარა ლაპარაკობს ერთ ქალზე, მეიერზე, რომელსაც 1888 წელს დაეძინა სალათას ძილით და მხოლოდ ეხლა გაეღვიძა. მეიერს ცეცხლის მქრობელთა რაზმის საყვირის ხმაზე გამოეღვიძა. ექიმებმა დაწვრილებით გასინჯეს და განაცხადეს, რომ ახლად გაღვიძებული ქალი სრულ გონებაზეაო. მეიერს ახსოვს ყველაფერი, რაც-კი 1888 წლამდე უნახავს და გამოუცდია.

რა ღირს კოცნა?

ამერიკაში ერთ ახალგაზრდა ქალს, გვარად პელტიტს, საჩივარი დაუწყია ყმაწვილ კაცის ტიტმორის წინააღმდეგ. ტიტმორი დანიშნული იყო პელტიტისა, მაგრამ თავი მიანება. ქალს საჩივარში ჩაუწერია, რაც დანიშნულები ვიყავით, ტიტმორმა 1236-ჯერ მაკოცა, ამიტომ გთხოვთ, მომისაჯოთ 89,880 მანეთი, რადგან თითო კოცნა 80 მანეთად ღირსო. სასამართლოში პელტიტს თავისი დღიურიც წარუდგენია. იქნება მოსამართლეებმა არ დაიჯერონ, რომ ტიტმარმა სწორედ 1236-ჯერ მაკოცა, ამიტომ ვადგენ ამ დღიურსაო. დღიურში მართლაც აღნიშნული ყოფილა, რა დღეს რამდენჯერ უკოცნია დანიშნულს. სანეფოს სასამართლოში უთქვამს, მართალია, ძალიან ხშირად ვკოცნიდი ჩემ დანიშნულს, მაგრამ ეს კოცნა ძალიან ძვირად დაუფასებია: ვის გაუგონია 80 მანეთი თითო კოცნაშიო. ხანგრძლივ თათბირისა და ბჭობის შემდეგ სასამართლოს გამოუცხადებია განაჩენი, რომლის ძალითაც ბ-ნ ტიტმორს მიესაჯა 1236 კოცნისათვის 6,000 მანეთი ქ-ნ პელტიტის სასარგებლოდ.

რადიკა და დოდიკა

ერთის წლის წინად პარიზის ცნობილმა ხირურგმა, დ-რმა დოიენმა, მოახდინა შესანიშნავი ოპერაცია: ერთმანეთს მოაშორა ტყუპი დები რადიკა და დოდიკა, რომელთაც, როგორც სასწაულს, საჩვენებლად ატარებდნენ ევროპის ერთი ქალაქიდან მეორეში. ტყუპების დაშორება იმიტომ სცნეს ექიმებმა საჭიროდ, რომ ერთს დას ჭლექი დაემართა და იფიქრეს, მეორეც გახდება ავადაო. ოპერაციის შემდეგ ჭლექიანი დოდიკა მალე გარდაიცვალა; მაგრამ, როგორც ეხლა აღმოჩნდა, მეორე დას ოპერაციამ ვერ უშველა: ისიც ჭლექით გახდა ავად.

უცნაური ადრესები

საზღვარ-გარეთის ფოსტა ცნობილია იმით, რომ თითქმის შეუძლებელია წერილი დაიკარგოს, რაც უნდა გაურკვეველი ადრესით იყოს გაგზავნილი. ამას წინად ნიუ-იორკიდან ინგლისში შემდეგის ადრესით იყო მიღებული წერილი: „ჯოუ ლის, ბრმას, რომელიც ინგლისში მათხოვრობს“. დიდის ძებნის შემდეგ ფოსტამ იპოვა მათხოვარი ჯოუ და წერილი ჩააბარა. აღმოჩნდა, რომ წერილი გამოეგზავნა ჯოუს მეგობარს, რომელიც ამერიკაში მათხოვრობს, და თავისი ადრესი არ შემოეთვალა. ჯოუმ პასუხი მისწერა და კონვერტზე დააწერა: „იაკობ ლეველს, ქერა მათხოვარს, კოჭლს, რომელიც ან ამერიკის ქუჩებზე მათხოვრობს ან სადმე ციხეში ზის“. ალბათ, ამ უცნაურის ადრესითაც იპოვნიან ლეველს.

გაქცეული პრინცესსა

მკითხველებს ეხსომებათ პრინცესსა ლუიზა, რომელმაც თავი მიანება ქმარ-შვილს და ბავშვების მასწავლებელს გაჰყვა. ეხლა ლუიზას მაგალითისთვის მეორე პრინცესასაც მიუბაძავს. ნოემბრის პირველ რიცხვებში დრეზდენიდან წასულა და სადღაც დამალულა თავის კუჩერთან ერთად პრინცესა ალისა. ეს პრინცესა ქალია კარლოს ბურბონისა, ესპანიის ტახტის მაძიებელისა, და ცოლი პრინცის ფრიდრიხ-ერნსტ შენბურგ ბალდენბურგისა. კუჩერი, რომელთანაც პრინცესსა დამალულა, ლამაზი იტალიელია, ემილიო მატტერნი. ძებნას მაშინვე შეუდგნენ, მაგრამ დღემდე ვერც ასავალი გაიგეს პრინცესასი, ვერც დასავალი. არ იციან, სად წავიდნენ, სად დაიმალნენ, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ. ემილიო მატტერნი ცოლიანია, თავისი ცოლი პრინცესსას სასახლეში გაუცვნია, შეუცდენია, მაგრამ მერე ჯვარი დაუწერია. ეხლა პრინცთან ერთად კუჩრის ცოლიც გულმოდგინედ დაეძებს თურმე დაკარგულებს. პრინცესსა ალისას კარგა ხანია თურმე ყურადღება მიუქცევია მატტერნისათვის: ჯერ მზარეულად დაუნიშნია, მერე კუჩრად გადაუყვანია. ალისა 28 წლის ქალია. შარშან პირველი შვილი ეყოლა. მისი და, პრინცესსა ელვირა, ამ რამდენისამე წლის წინად იტალიელ მხატვარ ფოლკისთან ერთად გაიქცა მამის სახლიდან. პრინცესსა ალისა ამ ექვსის წლის წინად გათხოვდა. მისი ქმარი 31 წლისაა. ამბობენ, ძალიან სასტიკი კაცია და პრინცესსამ ამ სისასტიკეს ვერ გაუძლოო. როგორცა სჩანს, კუჩერი მატტერნი არ უნდა იყოს სასტიკი კაცი.

ყრუ-მუნჯთა ბალი

10 ნოემბერს პარიზის ერთ რესტორანში გაუმართავთ ბალი და ნადიმი ყრუ-მუნჯთათვის. აუარებელი ყრუ-მუნჯი შეიკრიბა. პირველად ცეკვას შეუდგნენ. მართალია, მუსიკა არ უკრავდა მაგრამ მოცეკვავენი მაინც ხალისით უვლიდნენ. შემდეგ დაიწყო ნადიმი, რომლის დროსაც დიდ-ძალი „სიტყვა“ წარმოითქვა. ორატორები სიტყვებს ამბობდნენ ყრუ-მუნჯურად, ე. ი. თითებით.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ნოემბერი

პეტერბურგი. 1904 წლის 1 იანვარს გამოვა პირველი ნომერი ებრაულ ახალ გაზეთის „დერტოგ“-ისა.

ლონდონი. გადაწყვეტილია, რომ ინგლისის მისია ჯერ გაემგზავრება ქალაქ განზეს, რომელიც ლასსასკენ მიმავალ გზაზე ძევს. განზეში კიდევ ეცდებიან ტიბეტის მცხოვრებლებთან მოლაპარაკება გამართონ. აზრად არა აქვთ განზე დიდის ხნობით დაიჭირონ, აგრეთვე არ აქვთ აზრად ლასსას წასვლა.

კიშინევი. ებრაელების წინააღმდეგ არეულობის საქმის თაობაზე 12 დღის განმავლობაში ჰკითხეს 66 მოწმეს, 500 მოწმესათვის ჯერ არ უკითხავთ.

სევასტოპოლი. 17 ნოემბერს აქ მოვიდნენ სინოპის ბრძოლის 50 წლის იუბილეის დღესასწაულზე დასასწრებლად დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და მეუღლე მისი ქსენია ალექსანდრეს ასული.—პარაკლისის შემდეგ შავიზღვის ფლოტის ხომალდ „ჩესმა“-ზე ამართეს უმაღლესად ნაბოძები წმ. გიორგის დროშები. დროშების ამართვის შემდეგ იმპერატორის პატივსაცემლად ზარბაზნები დასცალეს. სინოპის ბრძოლის 50 წლის იუბილეის გამო დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისა და დიდის მთავრის მეუღლის ქსენია ალექსანდრეს ასულის თანადასწრებით გაიმართა პარადი ჯარისა.

სოფია. 16 და 17 ნოემბერს აქა და ბოლგარიის სხვა ადგილებში მიწა იძრა, თუმცა წინანდელზე სუსტად.

ბერლინი. გერმანიის ჯარს ზანდფონტენთან იერიშით აუღია მტრების პოზიცია. გერმანელებს ზარალი არ მოჰსვლიათ.

ტიანძინი. ხმა დადის, რომ ინგლისის სამხედრო მოხელენი თარჯიმანთ დაეძებენ ტიბეტის ექსპედიციისათვისაო. ხმა დადის აგრეთვე, ინგლისსა და ჩინეთს შორის არსებობს პირობა, რომლის თანახმად ინგლისი ტიბეტს დაიჭერსო.

რიგა. სელიესა და ბელდოს პატრონებისა და ფისტონების საკეთებელ ფაბრიკაში აფეთქება მოხდა. ორი განყოფილება მთლად დაინგრა; მოკლულია 4 მუშა, ორიც მსუბუქად და ერთი მძიმედ დაშავდა. მიზეზი აფეთქებისა არ იციან.

ვაშინგტონი. გერმანიის საელჩომ განაცხადა, გერმანია პანამის რესპუბლიკას აღიარებსო.

პეკინი. მდინარე ლიაოს დასავლეთით გამოჩნდა რუსეთის ჯარის ორი რაზმი, ვითომდა უახლოების მოსასპობლად, თუმცა ამ მხარეში სრული მშვიდობიანობა სუფევს.

19 ნოემბერი

პეტერბურგი. სადგურ მაოშანიდან სამხრეთისაკენ დასაზვერავად გაგზავნილი საზღვრის სადარაჯო რაზმი შეებრძოლა ხუნხუზების ბრბოს, რომელიც ასზე მეტი კაცისაგან შესდგებოდა.—რადგანაც ცნობები მიდიოდა, რომ მდინარე ლიასხეს ველში ხუნხუზთა ბრბოები იკრიბებიან და მცხოვრებთ სძარცვავენო, 23 ოქტომბერს მათ მოსასპობად გაგზავნილ იქმნა ექსპედიცია. ექსპედიცია შესდგებოდა 2 როტისა, 7 ცხენოსან რაზმისა და სადარაჯო რაზმის 4 ზარბაზნისაგან. მე-41 სადარაჯო ჯარი დაეწია რამდენსამე ასი კაცისაგან შემდგარ ხუნხუზთა ბრბოს. 30 ოქტომბერს სოფელ შაორინთან მონგოლიის საზღვრის მახლობლად სასტიკის ბრძოლის შემდეგ მე-41 რაზმმა დაამარცხა ხუნხუზები. ხუნხუზებმა დიდი ზარალი ნახეს და სრულიად გაიფანტნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 18 ნოემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,32½	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,62½	
ბირჟის დისკონტი	5-6½%	
4% სახელმწიფო რენტა	99⅝	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	459	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	347½	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	293	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	244	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

—

საღამოს კურსები:

ვიღებ შეგირდებს ჭრა-კერვისა და სხვა-და-სხვა ხელ საქმის სასწავლებლად.

ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 99, ს. არამიანცისა, ელისაბედ პეტრეს ასული ირემაშვილი.

(2—698—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 24 ნოემბრისთვის, გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა იჯარით ოთხი დუქანი ბაზრის ქუჩის ბოლოში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმას პირობების გასინჯვა შეუძლიან გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დან 3 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე, ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებს, უნდა წარადგინოს ბე 70 მანეთი. (2—ნ.—2)

დაიბეჭდა და ისყიდება

ქართულ წიგნის მოვაჭრეებთან

1904 წ.

ქართული

კედლის კალენდარი

წელიწადი მეოთხმეტე

შედგენილი და გამოცემული გრ. ჩარკვიანის-მიერ.

ფასი 40 კაპ. (ნ. 5—2)

„წ. კითხვის საზოგადოების“ გამოცემანი:

გამოვა დეკემბრის პირველ რიცხვებში სურათებიანი

საქართველოს კალენდარი

ვ. გუნიასი, სრულიად შეცვლილი და შევსებული ფ. გოგიჩაიშვილის მიერ.

—

სურათებიანი

კედლის კალენდარი

მრავალის ისტორიულ-ბიოგრაფიულ ცნობებით, აფორიზმებით, ლექსებით, სხვა-და-სხვა გამოსადეგის ცნობებით. (3—უ.—2)

ქუთაისში

სამ. ა. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქართველ-ქალთა საზოგადოების

სამკერვალოში

პირველ ოქტომბრიდან დაიწყო **საღამოს კურსები ჭრა-კერვისა** ინტელიგენტ ქართველ-ქალთათვის.

ვერა, მოსკოვის ქუჩა № 6

სამკურნალო

ქალთა ავადმყოფობებისა სამშობიარო განყოფილებით ექიმების **ე. სოზესტიანსკისა და პ. ჩერეპანოვისა.** მიღება დასაწოლად მოსულებისა, ფეხმძიმეებისა და მშობიარეთა ყოველ დროსა და საათს შეიძლება, საჭიროა წინ-და-წინვე განცხადება.

ადრესი: ანასტასიევის ქუჩა, სახლი ერეპანოვისა. (15—187—7)

[illegible] წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Издат. Т—ва